საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისში, სადგურ ლილოს კენტი ყელის და იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ შპს „იბეროილი“-ს ტერიტორიაზე რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

შპს „იბეროილი“-სთან 2017 წლის ნოემბრის თვეში გაფორმებული №12/15..... ხელშეკრულების საფუძველზე ჩემს მიერ ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ. თბილისში, სადგურ ლილოს კენტი ყელის და იუმაშევის ქუჩის მიმდებარედ შპს „იბეროილ“-ის ტერიტორიაზე რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. პროექტის დამუშავების სტადია - მუშა პროექტი (მ. პ.).

პროექტი დამუშავებულია შპს „რეილვეიბოლდინგ“-ის მიერ 2017 წელს. დირექტორი - ბ.დუნდუა, პროექტის ავტორი - ა.კაკაბაძე, შეამოწმა - მ. ბარამიძე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ერთი ალბომი, რომელიც შეიცავს:

1. საპროექტო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშს;

2. ახსნა-განმარტებით ბარათს;

3. გრაფიკული მასალის, 26 ფ.

რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგის მუშა პროექტი შედგენილია შპს „რეილვეიბილდინგ“-ის მიერ ჩატარებული ტაქეომეტრიული აგეგმვისა და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალების საფუძველზე. საპროექტო რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგი არაცენტრალიზებული რ-50 ტიპის 1/9 მარკის ისრული გადამყვანით უერთდება სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ ლიანდაგს. პროექტით გათვალისწინებულია შპს „იბეროილი“-ს ახალი ლიანდაგის მოწყობა სიგრძით 307 გრძ.მ. 1/9 მარკის ისრული გადამყვანის სიგრძის ჩათვლით. მისასვლელი ლიანდაგი დაპროექტებულია 1520 მმ სიგანის საერთო სარგებლობის V კატეგორიის რკინიგზებისა და სამეურნეო დანიშნულების II კატეგორიის რკინიგზებისა და სამეურნეო დანიშნულების III კატეგორიის მისასვლელი ლიანდაგების ნორმების მიხედვით (СНиП2.05.07.91*). მისასვლელ ლიანდაგზე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტებით დატვირთული ვაგონების მიღება-გაგზავნა.

ტერიტორიის რელიეფი ტექნოგენური, ხელოვნურად ჩამოჭრილი, უსწორმასწორო ზედაპირით არის წარმოდგენილი, რომელსაც დახრა ჩრდილოეთის მიმართულებით აქვს. სამშენებლო ტერიტორიაზე ჭრილის ქვედა ნაწილი წარმოდგენილია ზედა ეოცუნური ასაკის ნალექებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ამ კლდოვან გრუნტებზე ზემოდან განლაგებულია ალუვიურ-პროლუვიური გენეზისის კენჭოვან-ხრეშოვანი და თიხურ-თიხნარული გრუნტები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან. თიხური გრუნტი შეიცავს თაბაშირის ბუდეებს და კენჭებს. სამშენებლო მოედანზე გამოიყო ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე - თიხნარი მოყვითალო ფერის, კენჭნარის ჩანართებით, გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0= 2,40 კგძ/სმ² (240 კპა);

II სგე - კენჭნარი, რომელიც გავრცელებულია თიხნარის ფენაში სხვადასხვა სიმძლავრის ლინზების და შუაშრეების სახით, გრუნტის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0= 4,50 კგძ/სმ² (450 კპა);

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით ფუძის გრუნტებად მისაღებია ირივე ს.გ.ე. გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

ქ. თბილისი „სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ 01.01-09-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტების სეისმური თვისებები იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმუროზად მიღებული იქნეს 8 ბალი.

საპროექტო ლიანდაგის მთლიანი სიგრძე შეადგენს 307 გრძივ მეტრს, 1/9 მარკის რ-50 ტიპის ისრული გადამყვანისა და ჩამგდები ჩარჩო რელსი-ლაკმით სიგრძეთა ჩათვლით. მისი სწორი უბნის სიგრძე შეადგენს 100,90 გრძ.მ., ხოლო მრუდი უბანი კი 206,10 გრძ.მ. ლიანდაგის მრუდე მონაკვეთი განლაგებულია პკ0 + 55.44-სა და პკ2 + 64,54-ის ფარგლებში და ეწყობა მარჯვნივ მოხვევის კუთხით α+59º02′41″, რადიუსით 200 მ. საპროექტო ისრული გადამყვანის განლაგების ადგილზე არსებული ლიანდაგის გრძივი ქანობი შეადგენს 1,5‰, ხოლო საპროექტო ისრულიგადამყვანი განლაგდება 1,0‰ ქანობზე. საპროექტო სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის გრძივი პროფილის მეორე ელემენტი, ჰკ 0+40 ÷ ჰკ 1+10 ფარგლებში განლაგებულია 28,1‰-იან ქანობზე. მრუდის წინაღობის გათვალისწინებით საპროექტო სარკინიგზო

მისასვლელი ლიანდაგის გრძივი პროფილის მეორე ელემენტის მაქსიმალური ქანობი i = 31,6‰-ია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით ტერიტორიაზე არსებული ზედა ფენა, ნაყარი გრუნტი მოჭრას ექვემდებარება. ამიტომ პროექტით გათვალისწინებულია სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის ქვეშ ნაყარი გრუნტის მთლიანად მოჭრა და ყრილის აგება ქვიშა-ხრეშით.

მიწის ვაკისიდან წყლის მოცულობის მიზნით, ტერიტორიას მიცემული აქვს დახრა ლიანდაგიდან მარჯვნივ 20 ‰-იანი ქანობით, როგორც დროებითი ღონისძიება, საბოლოოდ შპს „იბეროილი“-ს ტერიტორიიდან წყლის მოცილების საკითხი უნდა გადაწყდეს ტერიტორიის მოწყობის გენერალური გეგმის დამუშავებისას.

მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის განლაგებამ მოითხოვა გრუნტის მოჭრაც და ყრილის მოწყობაც. გრუნტის მოჭრის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 3,79 მეტრს (პკ2 + 92).

საპროექტო ლიანდაგის მიწის ვაკისის განლაგების ზოლში ხვდება ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები - კედლები და ბაქნები. პროექტი ითვალისწინებს ლიანდაგის მიწის ქვეშ მოხვედრილი ფუნდამენტების მონგრევას მიწის ვაკისის ძირითადი ნიშნულის ნიშნულიდან მინიმუმ 0,50 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო არსებული კედლების დანგრევას მიახლოების გაბარიტების ГОСТ 9238-83-ის შესაბამისად. ჭრილის დამუშავების შემდეგ აუცილებელია მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის მოსწორება-მოგორვა მძიმეწონიანი მანქანა-მექანიზმების გამოყენებით.

მისასვლელი ლიანდაგის ბოლოში პროექტი ითვალისწინებს ხის ტიპური სალიანდაგო მისაბრჯენის მოწყობას.

ანგარიშის შედეგებიდან ჩანს, რომ შემადგენლობის საჭირო ბრუტო წონა 450 ტ. ნაკლებია პროფილზე ყველაზე კრიტიკული პირობებისათვის მატარებლის მოძრაობის საანგარიშო წონაზე (535 ტ.) და შემადგენლობის ადგილიდან დაძვრის პირობით განსაზღვრულ შესაძლო წონაზე (797 ტ.).

პროექტით გათვალისწინებულია მისასვლელი ლიანდაგის თარაზულ მოედანზე ერთდროულად 5 ოთხღერძა ვაგონ-ცისტერნებიდან შემდგარი შემადგენლობის მიღება-გაგზავნა. გაანგარიშება ჩატარებულია ვაგონების 4М33 თბომავლით მოწოდებისას.

შენიშვნები და რეკომენდაციები.

შენიშვნები არა მაქვს.

რეკომენდაცია - პროექტში მითითებული იყოს მისასვლელ ლიანდაგზე დასაშვები შემადგენლობის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე.

დასკვნა

პროექტი შედგენილია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების და მეთოდური მითითებების მოთხოვნების დაცვით. მიღებული გადაწყვეტილებები დაფუძნებულია ჩატარებული ანგარიშის შედეგებზე და უზრუნველყოფენ მისასვლელი ლიანდაგის უსაფრთხო ექსპლუატაციას. პროექტი შესრულებულია მაღალ ინჟინრულ და გრაფიკულ დონეზე. პროექტს ვაძლევ დადებით დასკვნას.

ექსპერტი

ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. კასრაძე

საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 331127

ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად

სახელი ვილენ

გვარი კასრაძე

პირადი № OI024025355

მისამართი თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 68

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № OI024025355

სახელი ვილენ

გვარი კასრაძე

დაბადების თარიღი I2.06 .I936წ

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——

N° ა 0213306

პირადი ხელმოწერა

რეგისტრაციის ორგანოს დასახელება

თბილისის საბურთალოს რ/ნის შ/ს სამმ-ო

თანამდებობის პირის ხელმოწერა

26 08 19 98

გაცემის თარიღი

თბილისის საბურთალოს რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილება
რეგისტრირებულია
5 03 1997 წ.
ხელმოწერა

მისამართი ——

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს
რ/ნის შ/საქმეთა სამმართველო

გაცემის თარიღი 26.08.98წ

მოქმედების ვადა
უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

დიპლომი

Н № 676387

ეს დიპლომი მიეცა ვილენ
გიორგის ძე კასრაძეს
მასზე, რომ იგი 1955 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის
სახ. საქ. შრომის წითელი დროშის
ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1960 წელს დაამთავრა აღნიშნული
ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით „სამთო საწარმოთა
მშენებლობა"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1960 წ.
„11" ივლისის გადაწყვეტილებით
კასრაძეს მიენიჭა სამთო
ინჟინერ-შახტმშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი (დირექტორი)

მდივანი

ქალაქი თბილისი 1960 წ. 12/VIII

სარეგისტრაციო № 3832

ДИПЛОМ

Н № 676387

Настоящий диплом выдан Касрадзе
Вилену Георгиевичу
в том, что он в 1955 го
поступил в Грузинский Ордена
Трудового Красного Знамени п
технический институт им. В.И.Л
и в 1960 году окончил полный к
названного института
по специальности „Строительство
горных предприятий"

Решением Государственной экзаменацион
комиссии от „11" июля 196
Касрадзе В.Г.
присвоена квалификация Горного инже
-шахтостроите

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь Чихладзе

Город Тбилиси 12/VIII 196

Регистрационный № 3832

Московская типография Гознака. 1958.